# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა. — შაბათი, 15 ივლისი 1900 წ. № 1181

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 13 ივლისა

**პეტერბურგი.** გროდეკოვის დეპეშა ხაბაროვსკიდან: „6 ივლისს ჩინელებმა ისევ მიიტანეს იერიში ნიკოლსკის რაზმზე სიმაგრე ეხოსთან, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ დიდის ზარალით. 7-ს, 8-ს და 9-ს ჩინელებს არა უმოქმედნიათ რა ჩვენ წინააღმდეგ. 8 ივლისს ხარბინის რაზმის ავანგარდმა გაიარა სოფ. ვანლიხოტსანი, რომელიც ფუგდინიდან 50 ვერსის სიშორეზეა. გენ. სახაროვი იარაღს ჰყრის ჩინელ დარაჯებს და თუ ვინმე წინააღმდეგობას უწევს, იარაღს ხმარობს.“

**ლონდონი.** პალატამ უარჰყო წინადადება, რომლითაც პროტესტი უნდა გამოცხადებოდა ჩემბერლენის სამხრეთ აფრიკის პოლიტიკას. ჩემბერლენმა გამოაცხადა, ორივე სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკები შემოერთებისათანავე თვით-მმართველობას მიიღებენო.

**შანჰაი.** ადმირალ სეიმური და გენერალი გეზლი მოვიდნენ 11 ივლისს ვეი ხაი-ვეიში.

**ნიუჩუანი.** 13 ივლისს რკინის გზაზე მუკდენსა და ტიანცზინის შუა დანგრეულ იქმნენ ლოკომოტივი და ვაგონები.

**შანჰაი.** „მოკრივეებმა“ დაანგრიეს რკინის გზის ნაწილი შანჰაის, ჩუანის, ცძიანის და ჩჯოუს შუა.

**კანტონი.** ტაკსუმ, ლიხუნჩანგის მოადგილემ, უცხოელების უსაშინელესმა მტერმა, ბრძანება გასცა დაჩქარებულ იქმნას ჯარების შეიარაღება და მოითხოვა, წავიდნენ აქედან ევროპიელების პატარა სამხედრო გემები; აქ დგანან საფრანგეთის ორი პატარა ნავი, 1—ინგლისელების და ერთიც ამერიკელების. ესენი უნდა წავიდნენ ბოკას სიმაგრეებისაკენ. ჩინეთის სამხედრო ნავები, რომელთა ეკიპაჟი „შავი დროშები“-საგან შესდგება, ძარცვა-რბევას შეუდგნენ კანალზე შამეს უკან; 18 პატარა გემი სდგას იმპერატორის ვერფის დაბლა. კანტონის მკვიდრნი უფრო და უფრო მტრულად უცქერიან უცხოელებს.

**შანჰაი.** როგორც ვუჩანის მმართველი ხუბე დეპეშით იტყობინება, მას უბრძანებია გადაჰყარონ წყალში ზარბაზნები, რომელნიც ხანკოუსაკენ იყვნენ მიმართულნი. მაგრამ მას მაინც ეშინიან, რომ იგი დიდხანს ვერ შეიკავებს ჯარის კაცებს.

### 14 ივლისა

**პარიზი.** ლონდონის და სხვა სახელმწიფოების სამინისტროების შორის მოლაპარაკებაა ჩინეთის საქმეების შესახებ. სამინისტროებს შესაძლოდ მიაჩნიათ, რომ უცხოელი ელჩები პეკინში უვნებლად იყვნენ, მაგრამ ალბად მძევლად ჰყავდათ დატოვებულნიო. უეჭველია, ჩქარა გაელაშკრებიან ევროპიელთა ჯარები პეკინზედ.

**ბრემენგაფენი.** აქ მოვიდა იმპერატორი ვილჰელმი ნორვეგიიდან.

**ლონდონი.** პალატა. ბროდრიკი აცხადებს, რომ ჩინეთიდან მთავრობას ოფიციალური ცნობები არ მიუღია.

**ბერლინი.** აქაურ იაპონიის წყაროებიდან იტყობინებიან: შანდუნის გუბერნატორმა მიიღო წერილები პეკინიდან 5 ივლისს, საიდანაც სჩანს, რომ გენერალმა იუნლუმ მიჰმართა იმპერატორს გაამხნევოს ელჩნი. ეს აღსრულებულ იქმნა და მიიღო პასუხი, რომ ყველა ელჩნი ცოცხალნი არიან და შერიგების მომხრენი არიან. ცუნგლი-იამენის მოხელე იყო საელჩოში და ელაპარაკა ყველა ელჩებს. 6 ივლისს გარდაწყვეტილი იყო წარედგინოს თხოვნა ბაგდიხანს იმის შესახებ, რომ ნება დართოს სურსათი გაუგზავნონ საელჩოში და შემდეგ ამისა ჩინელთა მფარველობის ქვეშ ელჩები წაიყვანონ ტიანცზინში.

გენერალ იუნლუს ძალიან დიდი და ძნელი შრომა მოსდის უცხოელთა ჯარისა და ჩინელ-ჯართა შორის შუამავლობაში, რომელნიც დგანან—უცხოელნი, ჯიპკის ხიდის სამხრეთ მხარეს და ტუნის ჯარიკი—ჩრდილოეთის მხრივ. ბრძოლა შესწყდა.

---

## ოფიციალური და სხვა ცნობები ჩინეთში არეულობის შესახებ

« მიუხედავად იმისა, რომ გაზეთებში დაწვრილებით იყო მოთხრობილი პეკინში უცხოელების საშინელი ამოჟლეტის ამბავი, ბოლოს დროს ისმის, რომ ეს ცნობები უსაფუძვლონი არიანო. ჩინეთის საელჩო პეტერბურგში დარწმუნებით ამბობს, რომ ასეთი გაჟლეტა პეკინში არ მომხდარაო და კიდეც რომ მომხდარიყოს, ევროპამდე ცნობები ვერ მიაღწევდნენ, რადგანაც პეკინი სრულებით მოწყვეტილია დანარჩენ ქვეყანასო. ჩრდილოეთ ამერიკის საელჩოშიაც არ სჯერათ ეს ამბავი. გარეშე საქმეთა სამინისტროში არავითარი ამბავი არ მოსულა და ვერ მოვიდოდაო,—ამბობს სამინისტროს ერთი მოხელეთაგანი, რადგანაც ტელეგრაფის მავთულები დაწყვეტილია პეკინშიო.

« სუეცში მოვიდა ტრანსპორტის გემი «ვიტტეკინდი» გერმანელი ჯარის კაცებით. საფრანგეთის გემის «აქვიტენია»-ს ზღვაოსნები დიდის ამბით შეხვდნენ გერმანელებს და შემდეგ ორივე გემები ერთად გაემგზავრნენ ჩინეთისაკენ.

« სამხრეთ ჩინეთშიაც ედება თანდათან აჯანყებულთა მოძრაობა. აქაც დაუწყეს ჟლეტა უცხოელებს. ლიხუნ ჩანგს დიდი ხანია ბრძანება მოსვლია—პეკინში მისულიყო, მაგრამ აგვიანებდა. მაგრამ, როცა დაინახა, რომ აქაც ძლიერდება მოძრაობა, საჩქარით გასწია პეკინისაკენ, საცა იგი, როგორც ზოგიერთები ჰფიქრობენ, აჯანყებულთა მხარეზე გადავაო.

« საზოგადოდ ეხლა ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ლიხუნ ჩანგზე. ლიხუნ ჩანგი მოიწვიეს პეკინში, დანიშნეს ჩჟილის პროვინციის მმართველად და, როგორც ისმის, პეკინისა და პეკინში მყოფ ჯარების უფროსად. ლიხუნ-ჩანგი მეტად ჭკვიანი, მაგრამ მასთან ცბიერი და უნდო კაცია. მან ინგლისური და გერმანული ენები იცის, მაგრამ ყოველთვის, თარჯიმანის საშუალებით ელაპარაკება უცხოელებს, რადგანაც ეშინიან, უხერხულად ან შეცდომით წარმოთქმული სიტყვა ცუდად არ იქმნეს ახსნილიო. ლიხუნ-ჩანგს ევროპა უნახავს და იცნობს სხვა ჩინელებზე უფრო კარგად. იგი დიდად აფასებს ევროპის ტეხნიკასდა კულტურის სხვა მხარეებს კი არაფრად აგდებს. მას კარგად ესმის ევროპიელ მრეწველობის, რკინის გზების, გაწვრთნილი ჯარის და კრუპპის ზარბაზნების ფასი და მნიშვნელობა და ამ მხრივ იგი რეფორმატორია. იაპონიასთან ხელშეკრულებამდე (სიმონოსეკი) ლიხუნ-ჩანგს დიდი გავლენა ჰქონდა ჩინეთში. შემდეგ კი მისი გავლენა დაეცა, რადგანაც მას დააბრალეს ფორმოზის დაკარგვა. შემდეგ ისევ მოიპოვა გავლენა ეხლანდელი იმპერატორის დედის წყალობით. ერთი რუსის დიპლომატის აზრით, ლიხუნ-ჩანგი იმიტომ მოიწვიეს პეკინში, რომ დედოფალს სურს როგორმე მისის საშუალებით მოურიგდეს ევროპიელებსაო. ამავე დიპლომატის სიტყვით' ლიხუნ-ჩანგისთანა მცოდნე და ნიჭიერი დიპლომატი ჩინელებს არა ჰყავთ.

« ნანკინის მეფის მოადგილეს ბრძანება მოსვლია პეკინიდან, გაგზავნოს თავის ჯარის ნაწილი პეკინში. კაი-ფინიდან, ნანიანიდან და ინჩჟოუდან წავიდა პეკინში 15 ათასი ჯარის კაცი.

« როგორც ამბობენ, ტიანცზინის ბრძოლაში ჩინელებმა თავიანთი საუკეთესო იარაღი დაჰკარგეს.

« ადმირალ ალექსეევს მხოლოდ მაშინ მიუღია თავის თავზე მთავარსარდლობა, როცა ადმირალ სეიმურის და სხვა უფროსებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა ტიანცზინზე იერიშის მიტანის შესახებ. სეიმური წინააღმდეგი იყო ამ იერიშისა; იგი თხოულობდა დაუყოვნებლივ პეკინისაკენ გალაშქრებას.

« იაპონელ აფიცრების აზრით, მიუხედავად წვიმებისა, შეერთებულ ჯარებს შეუძლიანთ მიადგნენ პეკინამდე, სანამ გზები სრულებით გაფუჭდებოდნენ. ევროპიელი ოფიცრები კი იმ აზრისანი არიან, რომ სექტემბრამდე შეუძლებელია პეკინისაკენ წასვლა. ჩინელები, როგორც ზემომოყვანილი ცნობებიდან სჩანს, ელიან უცხოელებს; ამიტომაც ისინი ცდილობენ წაახდინონ გზები.

« იაპონელები ხანგრძლივი ომიანობისათვის ემზადებიან. გერმანელ

პოლიტიკოსების აზრით, ევროპამ თვალ-ყური უნდა ადევნოს იაპონიას, რომელსაც ინგლისი მხარს უჭერს. რუსეთის მტრობით, ინგლისი სცდილობს, რომ ჩინეთის დამშვიდების საქმეში პირველი ადგილი იაპონიას ეჭიროს.

ტოკიოდან იწერებიან, რომ იაპონია არ ჩქარობს ჩინეთში დიდი ჯარების გაგზავნას, რადგანაც რუსეთი და გერმანია წინააღმდეგია, რომ შეერთებული ჯარების მთავარ-სარდლობა იაპონელ გენერალს ჰქონდეს, იაპონია კი იმ აზრისაა, რომ, თუ იგი სხვაზე მეტ ჯარს გაგზავნის ომის ველზე, უფროსობაც იაპონელ გენერლის ხელში უნდა იყოს.

« ოსმალების ყოფა-ქცევა ჩინეთის არეულობის შესახებ თანდათან მეტ ყურადღებას იქცევს. მცოდნე პირების აზრით, ოსმალურ გაზეთების წერილებს ჩინეთის ამბების შესახებ ღრმა მნიშვნელობა აქვთ. სტამბოლის მიზგითებში მოლები ევროპიელების წინააღმდეგ ჰქადაგებენ. «ყველა არა ქრისტეს აღმსარებელნი უნდა შეერთდნენ ეგრედ წოდებულ კულტუროსან და მშვიდობიანობის სარწმუნოების მქადაგებლების წინააღმდეგო». იაფაში გერმანელებს თანდათან უფრო ხშირად აყენებენ შეურაცხყოფას ადგილობრივი მცხოვრებნი. ევროპიელის პრესტიჟი ეცემა. წინად აქ უკონსულოთაც ბევრი საქმეების გაკეთება შეიძლებოდა, ეხლა კი კონსულებსაც უჭირთ საქმე. საშიშოა, აქაურ ევროპიელებს არა დაემართოთ რა გაკადნიერებულ მაჰმადიანთაგან. აღმოსავლეთი თანდათან იღვიძებს საღათას ძილისაგან.

## ახალი ამბავი

† გუშინ საღამოს ჩვენ მოგვივიდა სოხუმიდან შემდეგი სამწუხარო დეპეშა: „გუშინ, 13 ივლისს, საღამოს 5 საათზე, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ილია ლუკას-ძე ბახტაძე“. განსვენებული ილია ხონელის სახელით თანამშრომლობდა ადგილობრივ რუსულ-ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და ცნობილი იყო, როგორც ნიჭიერი ფელეტონისტი

✦ როგორც გადმოგვცეს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას მომავალ სეზონისათვის რეჟისორად მიუწვევია ბ-ნი გალ. გუნია.

✦ კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა „ასოთ-ამწყობთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოების“ წესდების პროექტის შედგენა, სთხოვს ადგილობრივ რედაქციებს, გამოგზავნონ წარმომადგენლები კრებაზედ, რომელიც დანიშნულია ორშაბათს, 17 ივლისს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში. ამასთანავე კომისია აცხადებს, რომ ეს კრება უკანასკნელი იქნება. განხილვის შემდეგ წესდების პროექტი გადაეცემა ასოთ-ამწყობთა კრებას და შემდეგ წარედგინება სათანადო მთავრობას.

✦ ხმები მოქალაქეთა (МѢЩАНИНЪ) და სახელოსნო სამმართველოების სრული ცვლილების შესახებ მართლდებიან. როგორც სატახტო გაზეთები ამბობენ, ორივე სამმართველოების საქმეები სრულებით გადაეცემათ ქალაქის გამგეობებს.

✦ მარტმყოფის, ნორიოს, ახალ სოფლის დიდი ლილოს საზოგადოებები ხსნიან სოფ. მარტმყოფში სასოფლო ქსენონს, სადაც ერთი ექიმი და ერთი ფერშალი იქნება. ექიმის და ფერშლის დანიშვნა დამოკიდებული იქმნება თვით საზოგადოებებისაგან. ქსენონში ოთხი საწოლია-2 მამაკაცებისათვის და 2-ც დედაკაცებისათვის. ქსენონისათვის ჯერ შენობა ვერ უშოვიათ.

✦ ტფილისის ხელოსანთა თავი აცხადებს, რომ ხვალ, 16 ივლისს, დილის 11 საათზე, ქალაქის საბჭოს ზალაში მოხდება ხელოსანთა დეპუტატების კრება ასარჩევად სარევიზიო კომისიისა, რომელმაც, თანხმად გუბერნატორის განკარგულებისა, უნდა განიხილოს სახელოსნო გამგეობის შემოსავალ გასავლის ანგარიშები 1897 წლის 18 ნოემბრიდან 1900 წლის 1-ლ იანვრამდე.

✦ როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, აღმოსავლეთის შესწავლის საზოგადოების თავმჯდომარეს გენ. შვედოვს განზრახვა ჰქონდა დაეარსებია ზემოხსენებული საზოგადოების განყოფილებანი ტფილისში, ბაქოში და ერევანში. ამ მიზნის განხორციელებისათვის ბ-ნ შვედოვს ტფილისში მიუმართავს მთავარმართებლის საბჭოს წევრის ბ-ნ სულთან-ყირიმ გირეისათვის. ეხლა ბ-ნ ყირიმ ვიგირეის ნება-რთვა უთხოვია მთავარმართებლისათვის და მიუღია კიდეც.

✦ ტრამვაის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი ბ-ნი რობი გუშინ, 14 ივლისს, საზღვარ გარედ წავიდა. მგზავრობის მიზანია—600000 მანეთის ქალაქზე სესხის გაცემის საქმის მოწყობა, ქალაქისათვის ელექტრონის ენერგიის მიცემის საქმე, ფუნიკულერის გაკეთებისათვის და კოჯორამდე რკინის გზის გაყვანისათვის სააქციონერო საზოგადოების შედგენა და სხვა.

✦ ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ 1887 წელს გამოცემულ 25, 10, 5 მანეთიანებს და 1866-ში გამოცემულ — 100 მანეთიანებს გასავალი ექნებათ 1901 წლის 31 დეკემბრამდე.

✦ კავკასიის მეცხვარეებს და მემატყლეებს გადაუწყვეტიათ იქონიონ უცხოეთის დიდ ქალაქებში სავაჭრო კანტორები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჩვენი საქონლის უცხოეთში მეტ გავრცელებას.

✦ დღეს სოფ. ქვიშხეთში ბ. საფაროვის თაოსნობით ადგილობრივი სკოლის დარბაზში საქველმოქმედო მიზნით გამართული იქნება „ვეფხვის ტყაოსნიდან“ ბუნდოვანი სურათების ჩვენება. ესეთივე წარმოდგენა გაიმართება 16 ივლისს სადგ. ხაშურში.

✦ სოფ. ბერ-შიოეთიდან (გორის მაზრა) გვწერენ: „7 ივლისს აქ გაიმართა უფასო სახალხო წარმოდგენა ქ-ბ-ნ ნატალია გიგაურისა და ამავე სოფლის მასწავლებლის ბ-ნ გრიგოლ გლურჯიძის თაოსნობით. წარმოდგენილ იქმნა კომედია ცაგარლისა „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და „ხანუმა“, ორივე კომედიებიდან პირველი და მეორე მოქმედება. დასასრულ რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა იმღერეს. მაყურებელნი მრავალი დაესწრო და აღტაცებაში მოდიოდა პირველად ნახულ წარმოდგენიდან. დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ საქმის მოთავენი. კარგი იქნება, სხვა სოფლებშიაც გაუჩნდებოდეთ მათ მიმბაძველები. დაბეჩავებულ სოფელს მეტად ეჭირვება როგორც გონების მასალა, ისე გასართობიც.

✦ ჩვენ მოგვივიდა აკაკის თვიურ „კრებული“-ს მე-III და მე-1V ნომრები (ერთ წიგნად) შემდეგის შინაარსით: ა) „ჩემს მწყალობელს“ (ლექსი) აკაკისა; ბ) „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“ მისივე; გ) „ქართველი გლეხის შვილი“, ხომლელისა; დ) „უ. მ. ე. ლ—ძეს“ (ლექსი) რუს-იმერლისა; ე) „ანჟელიკა“, მოთხრობა ს. ქვარიანისა; ვ) ** ლექსი სიმონა მეჩანგურისა; ზ) „ბ-ნ მოსე ჯანაშვილს“ ს. გორგაძისა; თ) „ისტორია ქართულ გაზეთების და ჟურნალების გამოცემისა“ ([illegible]) ზ. ჭ—სა; თ) „ორ კიტაობა“, აკაკისა. მეორე განყოფილებაში მოთავსებულია „ალია და ალიმირზა“ (ზღაპარი) „ქართველი ოსებში“-ს ჩაწერილი და „ფშაური ლექსები“, აფშინაშვილის შეკრებილი.

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ, მის თანადასწრებით, 1900 წ. 18 ივლისს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა უსუფთაო მილის გასაყვან მუშაობისა აწ არსებულიდან კიროჩნის ქუჩაზე სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩით ზდანევიჩის სახლამდე, სიგრძით 70 საჟენი, 1860 მანეთისა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—2)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ, მის თანადასწრებით, 1900 წ. 18 ივლისს, ნაშუადღევის 12 საათზე, დანიშნულია ვაჭრობა უსუფთაო მილის გასაყვან მუშაობისათვის აწ არსებულიდან ავჭალის ქუჩაზე, ქალაქის მე-10 ნაწილში, მალაკნების ქუჩით პანკინის სახლამდე, სიგრძით 180 საჟენი, 4100 მანეთისა.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის აღმაშენებელი განყოფილებაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე (ნ. 3—2)

გამომც. ვ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Іюля 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.